

საქართველო

17 83



— ორი თვეს მობრუნდით, მოკრებით ჩამოხტეს კასტორანში და
მერე სკოლის სამუშაოებსაც შევუდგებით!



ბათუმური ჩანახაზები


ლირიკული გაღმავლებები

ბათუმის ხსენებისას, განსაკუთრებით ტურისტებს, ციტატების, ჩაის, სიმშენიერით ცნობილი სანაპიროს ასოციაცია ექმნებათ ხლომე მხოლოდ. ამ დროს კი წარსულში ეს მრავალპიროვნული ადგილი დიდი რევოლუციური და უკეთესობიერების ტრადიციების მქონე ქალაქია, რესპუბლიკის მძლავრი ინდუსტრიული მაჯისცემის ერთ-ერთი მაცოცხლებელი წერტილი.

ვინ იცის, რამდენ დიდ ადამიანს გაუვლია ბათუმის ლამაზ ქუჩებში... ამ ოცდაათი წლის წინათ ამერიკის შეერთებულ შტატებში მოგზაურობის შემდეგ, ცნობილმა საბჭოთა მწერალმა ბორის პოლევოიმ შთაბეჭდილებების წიგნი გამოსცა სათაურით „ამერიკული დღიურები“. ამ წიგნიდან ერთი ფრაზა დღემდე შემომრჩა მეხსიერებაში: „ლოს-ანჯელესი ბათუმზე სიმწვანეში გამწვანებული თეთრი, ქათქათა ქალაქი“.

მე ლოს-ანჯელესი მხოლოდ სურათებით ვიცი, ბათუმი კი... მწვანეში ჩამალული, თეთრად მოქათქათე კობა სახლები, დარბაზიანი ცენტრი ქალაქისა, ტროტუარებასა და ქვეყნიერებს შორის წყალგამტარები ბატარა ხიდებით. მაგონდება მისი უსაზღვროდ ლურჯი ცა და გაუთავებელი ბათუმური წვიმა და... „ჭაობი“.

რის „ჭაობი“, რა „ჭაობი“?! მაგონდება, სიჭაბუკის დროს მეგობარს ბათუმში ვახლდი მისი მომავალი ქალბატონის მოსანა-



ხულებლად. იგი იმ ზაფხულს თავის ბაბუასთან „ჭაობში“ სტუმრობდა. დიდი შრომა და ჯავა დაადგათ ჩვენს ბათუმელ მეგობრებს, რათა „ჭაობში“ მათი სახლისთვის მიგვეყვლია...

ახლაც მოვინახულე „ჭაობი“. ჭაობი, მოგახსენებთ, რაც არის, მაგრამ ქალაქის ამ უბანს მაშინაც კი მხოლოდ ძველი სახელი ჰქონდა შემორჩენილი (თბილისის „ნახალოვის“ მსგავსად), თორემ ახლა ახლდა „ჭაობი“? ბათუმს მხრები გაუშლია თითქმის ახალი ქალაქი აშენებულა, მრავალსართულიანი, კობა სახლებით დამშენებული.

ერთი სიტყვით, ბათუმში ვარ. ვერ ვიტყვი, ცუდად ვიმგზავრეთქი, მაგრამ გზა მაინც ღლის კაცს და მეც სასტუმროს მივამურე დასასვენებლად. გამოცდილებით ვიცი, ტურისტული სეზონია თუ არა, „ინტურისტში“ მოწყობა მაინც ჭირს. თადარიგი დავიჭირე და სასტუმროს კარისკაცს ვკითხე: — მორიგე ადმინისტრატორს რა ჰქვია-მეთქი. — ბატონი შალვაო, — მიპასუხა.

ჩემსა და ბატონ შალვას შორის ასეთი დიალოგი გაიმართა: — გამარჯობა, ბატონო შალვა! — შალვას არც უკითხა, რა მინდოდა, რისთვის ვიყავი მოსული, პირდაპირ მეუბნება: — „პირველ მაისი“ წადი! — რა ვუთხრა? — ვეკითხები მე.

— უთხარი, შალვამ გამომგზავნა-მეთქი.

— მივიდი „პირველ მაისში“. ვეუბნები: — გამარჯობა, ბატონმა შალვამ გამომგზავნა-მეთქი.

— რაც მე უნდა მოთხრა, მიდი და ისევ ბატონ შალვას უთხარი, — მეუბნება ადმინისტრატორი.

ვბრუნდები შალვასთან... მკითხველს შეიძლება თავი შევავწყინე. მე კი მივლინებით სანიაგო საკბილოთა მოსაძებნად ვიყავი ჩასული, კერძოდ, ახალი „პერსონალიზმი“ უნდა მომეძებნა „ნიანგის“ მცირე ენციკლოპედიისათვის.

შინაგან საქმეთა სამსახურის მონაცემებით, ბათუმში ქურდობის შემთხვევები თითქმის აღარ გვხვდება. დანაშაულობათა დიდი ნაწილი უფრო წვირილმან ხულიგნობასა და მეზობლურ კიკილაობაზე მოდის, მაგრამ შარშანდელი ზაფხულის შემდეგ ათი თვის განმავლობაში შეძრული იყო ავტონომიური რესპუბლიკის სამძებრო ორგანოები — საშიშ დანაშაულებების ექმნენ!

შეიძლება გაგივივრდეთ, რატომ გავიორდა ასე დანაშაულის მიგნება. აბა, ვინ იფიქრებდა, რომ სკოლის მასწავლებელი, ახალგაზრდა კაცი იდენდა ამ სამარცხენო დანაშაულს...

გელა ავთანდილის ძე დონდოლაძე, დაბადებული 1958 წელს, ქ. ბათუმის № 15 საშუალო სკოლის ხატვა-ხაზვის მასწავლებელი. 1982 წლის ივნისიდან 1983 წლის 11 აპრილამდე სისტემატურად ეწეოდა დანაშაულებრივ საქმიანობას — ბინებს ქურდავდა. ამ ხნის განმავლობაში მან 14 ბინის გაქურდვა მოასწრო და საერთო ჯამში 49.315 მანეთად შეფასებულ

ლი საქონელი და ნაღდი ფული „აითვისა“. პირველივე დაკითხვაზე ყველას გასათვრად ქურდისაგან ასეთი პასუხი მიიღეს: „ფულს იმიტომ ვიპარავდი, რომ თბილისის სამხატვრო აკადემიაში მინდოდა მოვწყობილიყავი...“ ციწიწი და უხამსობა ამაზე შორს ვეღარ წავა!

როგორც ვიცი, სამხატვრო აკადემიაში სწავლა 6-წლიანია, ამჟამად კი დონდოლაძე უფრო ხანგრძლივ „სასწავლებელშია“ ჩარიცხული.

ერთ კურორტზე მოგითხრობთ: ამ ორი წლის წინათ აჭარის ასსრ ვაჭრობის სამინისტროს აპარატის მუშაკებმა შემოწმეს ქალაქის № 77 მაღაზიის ტექნიკური მდგომარეობა, რის საფუძველზეც შეადგინეს შემოწმების აქტი, რომელშიც მითითებული იყო, რომ მაღაზიის რემონტი სჭირდებოდა. აქტს ხელი მოაწერა მაღაზიის გამგე ვ. რუსეიშვილმა.

როგორც გამოირკვა, აჭარის ასსრ ვაჭრობის სამინისტროს აპარატის მუშაკებმა ეს აქტი შემდგომ გამოიყენეს სხვა, დაკარგული აქტის სანაცვლოდ. მასალა გადაეცა საგამოძიებო ორგანოებს აქტის შემდგენლებისა და რუსეიშვილის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მისაცემად, მაგრამ ქ. ბათუმის პროკურატურამ 1981 წლის 11 ნოემბრის დადგენილებით საქმე შეწყვიტა მათ მოქმედებაში სისხლის სამართლის დანაშაულის არარსებობის გამო. მაგრამ რუსეიშვილი სამსახურიდან მაინც გაათავისუფლეს, რასაც საფუძვლად დაედო ის, რომ მან, თუმცა შემოწმებულს კარგად იცნობდა, მათ არ მოსთხოვა შემოწმების ნებართვა და არ დაიტოვა შედგენილი აქტის პირი, რომელზეც რევიზორებმა უთხრეს, ჩვენ თვითონ გადავცემთ ვაჭრობის სამმართველოს.

საქართველოს ასსრ ვაჭრობის სამინისტროს იურიდიული განყოფილების დასკვნით, დისციპლინური სასჯელი (განთავისუფლება), რომელიც რუსეიშვილს დაედო, მიჩნეულია არაობიექტურად, ზომამზე მეტად მაკრად, და იგი უნდა აღედგინათ ადრინდელ თანამდებობაზე, რადგანაც არავითარი ნორმატიული აქტი არ არის გათვალისწინებული სავაჭრო დაწესებულების ხელმძღვანელის განთავისუფლება ზემოაღნიშნული დარღვევისათვის.

უმეშვეროდ დარჩენილმა რუსეიშვილმა წელიწად-ნახევარი სამართლის ძებნაში გაატარა. 16 მარტს გაცემულ საბუთში მოყვანილი ამ პუნქტის წაკითხვის

შემდეგ მას შემდეგ აღუქმეს მუშა გრამ მეორე პუნქტმა, ცოტა არ იყოს, დააბნია. აი ისიც: „ყოველგვამ დაადგინა: 1. არ იქნას მიღებული ამ რუსეიშვილის მოთხოვნა მის ადრინდელ თანამდებობაზე აღდგენის შესახებ“, თუმცა იურიდიულმა ორგანოებმა ვაჭრობის სამინისტროს ზუსტად მითითეს, რომ რუსეიშვილი ერთი თვის განმავლობაში უნდა აღედგინათ თანამართავსოვან თანამდებობაზე.


დაგვეთანხმებით, ეს ფაქტი საესებით გამოდგება იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორ არ უნდა ანაცვალონ კანონს საუწყებო ამბიციები და პირადი მოსაზრებანი.

შუშანა ილარიონის ასული ბერძენიშვილი თბილისის მცხოვრებია. მას სულაც არ უფიქრია ბათუმში დასასვენებლად ჩასვლა. ამ ქალაქში მას სულ სხვა რამ აინტერესებდა. ძველ ნაცნობს ანტონინა ვლადიმერის ასულ როჟდენსტენსკაიას დაუკავშირდა და მათ სამი წლის განმავლობაში სხვადასხვა თაღლითური ხრიკებით დიდძალი თანხა დასტყუეს მიაიბი მოქალაქეებს. რომლებსაც რას არ ჰპირდებოდნენ და აღუთქვამდნენ — თხუთმეტი ეპიზოდია მათს ამ სამწლიან „მოღვაწეობაში“. ყველაზე საინტერესო



სო კი ის ათის, რომ მათს საქმეში ხშირად ფიგურირებს თანხა — 13000 მანეთი. — ცამეტი რიცხვი თუ ფულის ადების დროსაც თარის იქნებოდა, რა ვიცოდითო, — იმართლეს თავი მილიციაში თაღლითებმა.

ჩვენც კიდევ ერთხელ გვინდა დაულოცოთ ყველა ბათუმელ მშრომელს მარჯვენა და ვუსურვოთ, რომ იმ რამდენიმე არასასიამოვნო ფაქტის მსგავსი, რომლებიც ამ მოვლენათ, და სხვა ნეგატიური მოვლენები ისევე უტალახოდ გამქრალიყოს ქალაქის სისხლსავე ცხოვრებაში, როგორც ბათუმური წვიმის წყალი — ქალაქის ქუჩებში.



— ამ ხაჭაპურში ყველი არ არის და ძროხის სურათი მაინც ჩაგედოთ!..



**ციკლიდან — „რჩევა
უცხოელ ვაჟებს“**

ოთხი შვილი მყავს, რის გამოც
ბევრჯერ შეტირა ყოფა! —
ყოველ კვირაში მჭირდება
ორმოცდაათი ცნობა!..

ცნობა — აღმზრდელთან სკოლაში,
სამსახურსა და ბაღში,
ცნობა — კურორტზე იმისა,
რატომ არ დავრჩი სახლში!

— „ოთხივე მართლა შენია?
ტყუილს მართალი გიჯობს!
ალბათ სინათლე, გათბობა
სახლში არ გქონდა, ბიჭო!“

ვიღებ ცნობას და, გაოფლილს,
ქალი თვალებით მცოფავს:

— „ეგ ცნობა შენი რომ არის,
მინდა ამისი ცნობა!“

— „რაო, რა მესმის! ეს რა თქვი?! —
ასლა მეორე მტანჯავს:

— „ცნობა მოიტა, პატარა
თევზის კუდს რატომ არ ჭამს?“

— „ცნობა თუ არ გაქვს, მოუსვი!
მაგ მზერაც იქით გასწი!
როგორ?! „პაპაკაში“ ჩაგაკრა
ორმეტრიანი კაცი?!“

ცნობის აღების სურვილი
გამიჯდა რბილში, ძვალში,

რადგან ცნობების გარეშე
ცოლიც არ მიშვებს სახლში!

— „ორმოცი ცნობა გაკლია,
ვერ მიხვალ იქ და იქო!“
კაცი ვარ, რა ვქნა, ვიღლები,
ნეტავ „ჟიგული“ ვიყო!

...და ვატყობ, გულზე დაიწყო
მიკროინფაქტმა მცნობა!..
მეგობრებს ვერ ვცნობ, თვალებში
დაკარგული მაქვს ცნობა!..

დავრბივარ გაგიჟებული,
ვაი, გულო და მუხლო!..
ცნობის აღება ძნელია,
ბავშვის გაზრდაზე უფრო!

თუ გინდათ, არ გაიტანოთ
საკუთარ კარში გოლი, —
ჯერ დააგროვეთ ცნობები,
მერე ითხოვეთ ცოლი!

ჯემალ კვერენცხილაძე

კაპიტალდამანდებთა ბოლომდე აუთ-ვისებლობას გარკვეულ წილად მოსდევს ბინების ცუდი ხარისხი, ამის შედეგად ბევრი ახალმოსახლე ხშირად თვითონ აწარმოებს რემონტს.

გაზეთიდან

ნახ. ზ. ლომიძისა




— კარი გამოსაცვლელია, კედლები ასაფხევი, შესა-
ლესი და შესაღებია, სანტექნიკა გასაკეთებელია, პარკე-
ტი დასაგებიია..


— გასაგებიია!

საქართველოში სატელეფონო საშუალებების
განვითარების ისტორიისათვის

1. XIX საუკუნის ოთხმოციან წლებში გაშენილ იქნა პირველი სატელეფონო ხაზი — კოჯორ-თბილისი.
ლაპარაკი იყო უფასო.
2. XX საუკუნის 20-იან წლებში კოჯორის მოედანზე დადგმული ჯიხურიდან თბილისთან ლაპარაკი ღირდა 2 კაპიკი.
3. ამავე საუკუნის ოთხმოციან წლებში ჯიხურის გაუქმებასთან დაკავშირებით თბილისთან და-კავშირება მხოლოდ ფოსტის მეშვეობით ხდე-ბა. სატელეფონო ლაპარაკის ღირებულება — 20 კაპიკი.
4. 1983 წლიდან ამავე ლაპარაკის ღირებულება გაიზარდა 30 კაპიკამდე.
5. ამავე წლის 1 იანვარს — 35 კაპიკამდე.
6. ინერგება სიახლე: ა) იმ შემთხვევაშიც კი, რო-დესაც ლაპარაკი არ შედგა. კლიენტი მაინც იხდის 30 კაპიკს; ბ) იმ შემთხვევაში როდესაც დედას ელაპარაკება ორი შვილი, ქმარს — ცოლი და შვილი და ასე შემდეგ, ამ ლაპარაკისათვის გადასახდელი 40 კაპიკი.
7. გამოსაკვლევი: რა ეღირება იგივე ლაპარაკი 2000 წელს?
8. ასევე გამოსაკვლევი: რეალურად რა ღირს ეს ლაპარაკი ამჟამად, რისთვისაც მოძიებულ უნ-და იქნეს სატელეფონო კავშირის სახელმწიფო ტარიფი, რომელიც კოჯორის საფოსტო განყო-ფილებას არ გააჩნია. განყოფილების გამგის მოვალეობის აღმსრულებლის განცხადებით ეს ღირებულება 18 კაპიკს შეადგენს.

ნახ. ი. შიონაშვილისა





ცილისმწამებელთა აკადემიური ნიჩბოსნობა.

წერას აუბანია!

მასხაშის უძველეს სოფელ ჩორჩანში სოკოებივით მომრავლდნენ ოდა სახლები. უცხოური ავეჯით დამშვენდა ოთახები. გაზი, ელექტრონი, ტელევიზორი, ტელეფონი დამკვიდრდა სოფლად. გლეხაყის ეზოებში მსუბუქი ავტომანქანები გამოჩნდა. ყოველი ცისმარე დილა ბედნიერად უთენდებოდა და უღამდებოდა შრომისმოყვარე ადამიანებს. მაგრამ მათ შორის ჯერ კიდევ არიან გაუტანელნი, შურიანები, პატიოსანი ადამიანების ავტორიტეტის შემლახველნი, კარგი განწყობილების გამფუჭებელნი, ვერაგები და ვერანები, ნაჭუჭში ჩაკეტილები, თავისებური ფილოსოფიით რომ ცხოვრობენ, დაჟინებული ჭოგრით რომ იხედებიან, სხვის თვალში ბნელს რომ ამჩნევენ, ხოლო თავიანთში — დირესაც ვერა.

...იგი ეჭვის თვალით უყურებდა ყველას და ყველაფერს. სძულდა ადამიანები, მეზობლის წინსვლა და გამარჯვება შიშის ზარს სცემდა, მოსვენებას უკარგავდა, შურით ავსებდა. წერდა ყველა ინსტანციაში — რაიონის ხელმძღვანელობაზე, თუ უბრალო შრომისმოყვარე ადამიანებზე. წერდა დღე და ღამე, იხარჯებოდა ტონობით მელანის, ქაღალდის, საფოსტო მარკები და კონვერტები. დიდი ჯაფა ადგათ კომპეტენტურ შემმოწმებლებს... უკანასკნელი 5-6 წლის განმავლობაში 80-ზე მეტი საჩივარი და განცხადება გაგზავნა ადიგენის რაიონის სოფელ ჩორჩანის დაწყებითი სკოლის გამგე-მასწავლებელმა ალექსანდრე ვასილის ძე გოგატიშვილმა ადიგელობრივ და ზემდგომ ორგანოებში.

მაინც რამ გაანაწყენა ალექსანდრე გოგატიშვილი? სახელმწიფო ქონების დატაცებისათვის დედის პასუხისგებაში მიცემამ და ზანაფის კოლმეურნეობის თავმჯდომარეობის პოსტიდან მისმა გათავისუფლებამ დაუპირა ძილი და მოსვენება.

პარტიის ადიგენის რაიონის მიერ მოკვლეულ მასალებში ვკითხულობთ: „ა. ვ. გოგატიშვილმა ზემდგომ ორგანოებში საჩივრების გაგზავნას უმატა მას შემდეგ, რაც რაიონის ბიურომ 1974 წლის 27 ივნისს ზანაფის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარედ ყოფნის პერიოდში, ხელმძღვანელი მუშაკისთვის შეუფერებელი საქციელის ჩადენისათვის, საკოლმეურნეო ქონების განთავსებისათვის და საადრისებო საქმის მოშლისათვის მას გამოუცხადა საყვედური. ამ დანაშაულისათვის იგი პასუხისგებაში უნდა მიეცათ, უნდა დაეჭირათ, მაგრამ შეინდეს, მუშაურობა გამოიჩინეს მისდამი. გაგულისდა ალექსანდრე და

ღვარძლიანი წერილების წერა იწყო არა მარტო რესპუბლიკის არამედ კავშირის მასშტაბითაც. წერდა, რომ მას სულს უხუთავენ, აწირობენ. ვითომც წინასწარი განზრახვით არ აძლევდნენ მას და მისი ოჯახის წევრებს სამუშაოს, არ გამოუყვეს მინის ნაკვეთი, ავტომანქანა, სათანადოდ არ დასაჯეს ჩორჩანის კოლმეურნეობის ყოფილი ბრიგადირი ა. ვ. კეიფინაძე, რომელიც მხილებულ იქნა საკოლმეურნეო ქონების დატაცებაში და სხვა. ითხოვს მათ სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემას“.

შემომხმებით დადასტურდა, რომ როგორც თვითონ ა. გოგატიშვილი, ასევე მისი შვილები დასაქმებული არიან, მინის ნაკვეთი გამოყოფილი აქვთ, ავტომანქანის გამოყოფის შესახებ განცხადება აყვანილია აღრიცხვაზე, ბრიგადირმა კეიფინაძემ მოიხილა სასჯელი...

ა. გოგატიშვილს არ აკმაყოფილებს კანონის შესაბამისად გატარებული ღონისძიებები, იგი რაიონში არავის არ უსმენს, არ სჯერა არავისი, დაუსრულებლად წერს განცხადება-საჩივრებს და აყენებს ახალ-ახალ მოთხოვნებს. მარტო 1979—1983 წლებში მან 40-ზე მეტი ახალი განცხადება-საჩივარი დაწერა.

1979 წლის 15 მარტს პარტიის ადიგენის რაიონის ბიუროს მიერ სკკპ რიგებიდან გარიცხული ალექსანდრე ვასილის ძე გოგატიშვილი შეიბრადა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ბიურომ და აღადგინა სკკპ წევრად, მხოლოდ გამოუცხადა სასტიკი საყვედური საადრისებო ბარათში შეტანილთა არასწორი ქცევისა და სკკპ წესდების დარღვევისათვის, რაც გამოიხატა იმაში, რომ პარტიული ბილეთი გააგზავნა სკკპ ცენტრალურ კომიტეტში.

არც აქედან გააკეთა სათანადო დასკვნა ა. გოგატიშვილმა და 1982 წლის იანვარში განმეორებით გააგზავნა თავისი პარტიული ბილეთი სკკპ ცენტრალურ კომიტეტში, რისთვისაც საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ბიურომ იგი გარიცხა პარტიის რიგებიდან...

კეთილმოსურველი „წინაგი“ გირჩევს, პატივცემულო ალექსანდრე: მოახმარე შენი მარჯვენა ჩვენი რესპუბლიკის წინსვლისა და აყვავების საქმეს. ჯერ კიდევ ყველაფერი არ არის დამთავრებული. გაახილე თვალი და დაინახე ის, რა სასიკეთო ძვრებიც ხდება შენს რაიონში, მესხეთში, საქართველოში. ნუთუ არ მოგებურდა ცუდკაცობა, ნუთუ არ დაიღალე სხვების ლანღვა-გინებით? ძვირფას შვილებს მაინც რას ერჩი? რატომ უტოვებ მთაწმინდობას შავ ლაქად უღირსი მამის სახელს?

გუგაზ კოლხელი

ჩვენი სტყუარია ჩვენი წარსული და მომავალი

ახალი შტრიხი

მე შტრიხი ვაჭარი...
თბილისში,

ამ მშენებელი
სამოსახლოა

ამ არის ჩემი
ლუბის კოშკი,

აქედან მთავრად
უფრო ახლა!

მატილინად ვიქცე
თბილისში,


აქეთ ჯერ კიდევ
მეგობრია,

აქა ვხეივანი
ვარსკვლავთმრეცხელი,

აქედან მთავრად
უფრო ახლა!

და თუკი აქეთ
არც არაღივია,

არც არაგვი და
ბარისახია, -



სამაგიეროდ გზა
მეცხრე ცისკენ,
გზა მეცხრე ცისკენ
უფრო ახლა!

ახლა თბილისში
არის შტრიხი, -

არის შტრიხი,
იქა დგას ჩემი
ლუბის კოშკი!

ბევრი ჭანდაცი მისახეს
დასწრებული და უთავო...
ამდენი მოთმინებისთვის
რით მასაჩუქრებ, უფალო?



პარავაზი, ანუ იმპერალი

ლმუთმა იცის,
სად უფროა

ალალი და ფრთამალი
ჩემს ზოშიც

ყვიის ხოლმე
მეწი კოხტა

მამალი
ვიწ გავაგებ,

ფოქრად რა აქვს,
ფიცი საით მოვიწინა...

დახაკოვად მივა,
სადღე მთავრად

გულშიც მისი ყოფილა!
ლმუთმა იცის,

სად უფროა
ვაჭარი და ალალი, -

ჩემს ჯოშიც
დარიწინდა

მეწი კოხტა
მამალი.



იმპერალი პირობი

თუმცაღა ჩვენი სტუპობა
მოულოდნელად მისდა,
ტაბლაზე განდა დოჭი,
პატარძალივით კოხტა!

ამ დოჭი ვურნის წვეწოა,
ნაღდი ნაღური ციციკის,
ასეთი ღვინო ახლა
მარტო ამ მხარეს იცის!


ჯოს ბოლოში ვუწინაღობ
წაგდებინეს თავი
აურჩევით ტურნი,
თავმოწონე და აიქ...

ცხელ-ცხელი ხაჭაპურები
„მეზოგვაპარეს“ მალე,
დედის რძესავით ღვინო
დამწვენდა ტბილი „ლაღე“.

ჩამოფრულულა ვარემო,
მთის ცალკეობი და ბარი,
ჯოში იწვინა ზურგად
ცეცხლივით ეწითა მანეთ.

სიტყვად კვარჩილი აწილი,
მადლიანი და სანდი,
სუფრაზე იდგა დოჭი,
პატარძალივით სახინო!

დოჭი კი, დოჭი წვეწოა,
ნაღდი ნაღური ციციკის,
ასეთი ღვინო, ბატონო,
მხოლოდ ამ გვარა იცის!



ჩასაც ახლა მეუბნები,
ჩაიბრად და ზუსტად ვიცი!
ჩამდებს უთქვამს იგი სიტყვა
ჩამდებს უთქვამს იგი ფიცი...
ჩასაც ახლა მეუბნები,
საზუბიროდ, ზოთზე ვიცი!

ვაჭი, გულბარა, ვაჭი...

სატყუარი კმარა ერთი
ნუღარავის მომჩინები!
ახლა როგორ დავიჯერო,
ანა ტყუილი მომჩინები

გულს,
რომელიც ახლა ხელთ გაქვთ,
როგორც ძველი საგანი...
დამანებეთ ჩემი თავი,

ჩემი ბუდე-საბანი...
მასის, პანის მოცემამდე
სიმწვესდენ მომჩინები!

მარტო, როგორ დავიჯერო,
რომ გულს
მართლად მომიღებენ?
მეშინივლი და სხვად ვიქცევი

თქვენი ტრუფის საგანი!
დამბრუნეთ ჩემი თავი,
ჩემი ლოცნა-საბანი!



კაფია

კოტე მახარაძის რეპლიკის
გამოცემის იმპერატორის, პრ.
ფხვინი დიმიტრი ჯანაშვილის 75-ე
წლისთავის აღსანიშნავ საიუბილეო
საღამოზე - კიდევ ერთი „მოღალა-
ტა“ მოეცა (პირველი) „პირველი“
თამაშ ქარიანს ზედა).

თუ პოეზია ღალატია,
დე, მოღალატედ მოვცე!
ღალატის „ღალატით“ გამოსყიდვად
გვასოს, ბატონო კოტე!
თუკი პოეზია ღალატია,
დე ამ „ღალატით“ მოვცე!



ნიღაზის

თქვენ ანგარიშს არ უყვებ
საუკუნის, დროს!
და თამაშობთ (მოიხივით)
ქრისტეს
მოციქულის როლს!
უკან ვეღარ დაბრუნებთ
წელადრიცხვას, დროს!

მოიხსენი ნიღაბი,
მეცნიერი როს!
ნუ თამაშობთ ქრისტეს
მოციქულის როლს!



პარიზი

ველგან აქვს
თითო ტაძარი, -
გამოღობია თუ
გაღობია!
ანაწო
ანაწრისკენ
ანგლოზივით
გაფრინდა!

პარადოქსი ხაზზე

განდებდა და შეიღივით
ფეხზე წაიფრებოდა,
ფეხი რასე ვეღარც,
არც აღერს,
ვერცერბოთ, ვერცერთი!
მერე დანას გავუფრია
ბეჭითად და ცოდნით!
უფრო დიდხანს ვიცოცხლებთ,
ერთმან, მისი ცოდვით!

შევიბრული შარვი

გაღა დარბაზში

ილუსტრაციები

გურთაშა პაპიშისა

„ნიანგის“ მხიკა მხიკლოაქი



ფულწაღებულის გადასარჩენად!

დონარა მარმარიანი — ცხოვრობს ვარკეთილის მასივში (მე-4 კვარტალი, მე-12 კორპუსი). იგი ზოგიერთ თავქარიან სპეკულანტს როდი ჰგავს, თავის სამარქაფო საქმეში ისე გრძნობს თავს, როგორც წყალში თევზი; თევზს ჰყიდა და ორმაგად და გადამაღული ზუთნის კონსერვების ფასიც გაზუთხული ჰქონდა. ამჟამად საქარხნო რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილებაში ზუსტდება მისი „ნამოღვაწარი“.

ნინა თათოშინიანი, პავლე გუშანოვი — სამრეწველო საქონლის ორმაგად და მეტად გაყიდვის სპეციალისტები, ანუ გადამყიდველები. ნინა დისასლისია, პავლე — უმღუშეგარი (ცხოვრობს კალოუზნის ქუჩის № 34 სახლში). მათ კარგად იციან ანდაზა, ხელი რომ ხელს ჰბანს, ორივე — პირს, და 350 მანეთად ღირებული სამრეწველო საქონელი 800 მანეთად გაყიდეს. ნინას ბინაში კი აღმოჩნდა 2200 მანეთის საქონელი, რომლის გაყიდვა აღარ დასცალდათ.

გოგი ჩხვიაშვილი, ზოთა ჩალაძე — ორივეს ჩალის ფასად უღირს სინდის-ნამუსი. გუდაუთის რაიონის სოფელ ლიხნიდან „საგასტროლოდ“ გაგრაში ჩავიდნენ და იფნარის საბავშვო მაღაზიაში ორი ათასი მანეთის ღირებულების ხალიჩები მოიპარეს, მაგრამ გაგრის შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილების ბზიფის ქვე-განყოფილების მუშაკებმა ჩეხვიაშვილი და ჩალაძე პირში ჩალაგამოვლებული დატოვეს — ნადავლთან ერთად დააკავეს.

გიორგი გაჩიაშვილი, ზაზა გოგიტიშვილი — თბილისის № 6 პროფტექსასწავლების მოსწავლეები. მათ საღდაც მოუსმენიათ ხალხური სიმღერა „რით მოგიტაცო, ქალაქო“ და ქალაქის ცენტრიდან მოინდომეს მანქანის გატაცება, მაგრამ კიროვის რაიმილიციის ოპერატიულმა მუშაკებმა, მილიციის კაპიტანმა თემურ დუღაშვილმა და ლეიტენანტმა მერაბ ელვაგაიდაშვილმა ორივენი დროულად შენიშნეს. გიორგიც და ზაზაც სხედან ჩუმად, მორცხვად და ნაზად...

საგო კუდრიაშვილი, ედუარდ თეიმურაზოვი — ტოპოგრაფიული ტექნიკუმის ყოფილი სტუდენტები. ერთს ტარიელ მკლავაძედ წარმოედგინა თავი, მეორეს — ბაყბაყდევად, რუსთაველის პროსპექტიდან სამი არასრულწლოვანი შეიყვანეს ერთ-ერთ სადარბაზოში და ცემეს, რათა გაეძარცვათ. წესრიგის დამცველებმა „ჩვენნი დროის გმირები“ დააკავეს და კალინინის რაიონის სახალხო სასამართლომ მოზღვაებული ძალისა და ენერგიის დაოკების მიზნით თეიმურაზოვს სამ-ნახევარი, ხოლო კუდრიაშვილს ოთხი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა სასჯელის გაძლიერებული რეჟიმის შრომა-გასწორებით კოლონიაში მოხდით.

მურთაზ ხალიჩაძე, ზუგდიდის რაიონის სოფელ ინგირელი, ორივეს უბნის მაღაზიის დარაჯი — მიატოვა სადაროჯო და ბოროტმოქმედთა ჯგუფმა ამ სავაჭრო ობიექტიდან 11153 მანეთის მატერიალური ფასეულობა გაიტაცა. დოკლამა დარაჯს ზუგდიდის სახალხო სასამართლომ ერთი წლის ვადით იძულებითი გამასწორებელი სამუშაო მიუსაჯა გამომუშავებიდან 20 პროცენტის დაქვითვით, თან დააკისრა ზარალის გადახდა ზუგდიდის რაიკოოპერატივის სასარგებლოდ.

ს. ხვამელიძე

ნან. ზ. ფორჩხიძის

ბაზმომტრების პარკების ღირებულებას!

მგზავრთა და მძღოლთა შორის გაუგებრობისა და უსიამოვნების თავიდან აცილების მიზნით გთხოვთ გამოაქვეყნოთ იმ თანხის რაოდენობა, რომელიც უნდა გადაიხადოს მგზავრმა მრიცხველზე აღნიშნული თანხის ზევით!

მგზავრთა ჯგუფი

საბელეფონო ქსელის უფროსი!

ბელეფონის დადგმის რიგში ვდგავართ ოცი წელია. ვითვალისწინებ რა მისი დადგმის პერსპექტივასა და შემდგომი მუშაობის ხარისხს, გთხოვთ, თუ ოდესმე რიგმა მომიწია, ტელეფონი არ დამიდგათ!

მომავალ ინფარქტსაცდენილი

პარიტარიუმი

საქვეყნოდ ცნობილ ცირკის მეფოკუნეს მოქვიფე კალენიკემ გაუგზავნა წერილი-შეკითხვა: „მსურს ვიწამო თქვენი წელოვნების ჭეშმარიტება. გთხოვთ მიპასუხოთ, შეგძლიათ თუ არა სცენაზე პურ-მარილის გაჩენა?“

ქარაგმები

- თუკი ცოლს ვერც აზრს შეუცვლი და ვერც გაეუბრები, რა აზრი აქვს მასთან ჩხუბს?
- დამსაჯაო, სავარძელზე მიმაბით! — სასჯელზე თანხმობას აცხადებდა კარიერისტი.
- ბეზინსტრის დედიკოს ნათქვამის უშეცდომოდ გადაცემას პატარას უჭკუობად რატომ უთვლიან?
- უკუდო ამპარტავანს რით სჯობია კუდიანი ამპარტავანი?
- სამოგვალსტრის ღვინოში ჩავიხრჩობო! — ტრაზიზობდა ლოთი.

გივი ზაფლაშვილი



— ამ ქვაბში ტყემლის მოხარშვა კი არა, ოქროს შენახვა დაგენანება!

ვინ რა ივალდებულა...

(იუმორესკა)

— ამხანაგებო როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, ერთი კაცი ვერას გახდებდა! ყველაზე უნდა ავუბათ ერთმანეთს მხარი, რომ მოწინავეთა შორის ვიყოთ. მე, როგორც ამ კოლექტივის ერთ-ერთი წევრი, პირობას ვდებ, დღეიდან ყოველთვის დროზე ვივლი სამსახურში. ბოლოს და ბოლოს ხომ უნდა მედლოს ბოლო ერთსა და იმაზე? ამდენ ყიფინსა და საყვედურს? რა გახდა ასეთი სამუშაოზე დროზე გამოცხადება? ნუთუ, ეს გაუთავებელი მსჯელობის საგნად უნდა დარჩეს? — თქვა კამათში გამოსულმა ამხანაგმა და მაღლობა გადაუხადა აუდიტორიას ყურადღებისთვის.

დარბაზში ჩოჩქოლი ატყდა! ზოგმა ჩაიქირქილა, ზოგს გაოცება გამოეხატა სახეზე, ზოგს — წყრომა!.. კრების თავმჯდომარემ პატარა ზარი გაანკარუნა და კვლავ მიმართა აუდიტორიას; კიდევ ვის სურს კამათში მონაწილეობის მიღება? დარბაზი წამით გაირინდა. — თუ შეიძლება! — გაისმა აუდიტორიის სიღრმიდან და კამათში მონაწილეობის მიღების მსურველი არც დაელოდა თავმჯდომარის დასტურს, ისე აიჭრა ტრიბუნაზე. ეტყობოდა, ღელავდა. ჭიქას დასწვდა, წყალი მოსვა. ყელი ჩაიწმინდა, პალსტუხი გაისწორა და დაიწყო:

— ამხანაგებო! მე მხარს ვუჭერ რო-

გორც მომხსენებელს, ისე კამათში გამოსულ ამხანაგს! წესრიგი ყველამ უნდა დავიცვათ, სხვანაირად ვერ იარსებებს ჩვენი დიდი კოლექტივის მექანიზმი! შეუწყნარებელია, რომ ამდენს ვუკიფინებთ ერთმანეთს სამსახურში თავის დროზე მოსვლასა თუ წასვლაზე. რა წესრიგზე უნდა ვისაუბრო, როცა სამუშაო დღის დამთავრებამდე რამდენიმე საათით ადრე ამხელა დაწესებულება გამოცარიელებულია? არსებობს ნორმირებული სამუშაო დრო, რომლის დარღვევის უფლება არავის აქვს! მე იმის პირობას ვერ მოგცემთ, რომ სამსახურში ყოველთვის დროზე გამოცხადდები, მაგრამ ყველას წინაშე ვაცხადებ, რომ სამუშაო საათების დამთავრებამდე ფეხს არ მოვიცვლი სამსახურიდან! ამგვარად დარბაზი თავისებურად გამოეხმაურა კამათში გამოსულს. თავმჯდომარე წამოდგა და მიანიშნა აუდიტორიას ყური ეგდოთ ორატორისთვის, მაგრამ, ამ უკანასკნელმა სწორედ მაშინ დაასრულა სიტყვა: — ეს მინდოდა მეთქვაო!.. — და ჩქარი ნაბიჯებით დაეშვა ტრიბუნიდან.

კვლავ გადაავლო თავმჯდომარემ მზერა აუდიტორიას, თითქმის ვილაცას ეძებო; კვლავ გაიმეორა თავისი ანუ ყველა კრების უცვლელი თავმჯდომარის საყვარელი ფრაზა: — ვის გსურთ სიტყვით გამოსვლა? წინადადება დამთავრებული არ ჰქო-

ნდა, რომ ვილაცის ხრინწინამა ხმამ მიიპყრო დარბაზის ყურადღება. თითქმის შეთქმულნი ყოფილიყვნენ კამათში გამომსვლელნი, ამანაც, ყოველგვარი ნებართვის გარეშე, თვალის დახამხამებაში ტრიბუნაზე ამოყო თავი. მას არც წყალი მოუსვამს და არც ხმა ჩაუწმენდია, პალსტუხიც არ ჰქონია საერთოდ... მკვდრის ფერი ედო მხოლოდ!.. — მე, ამხანაგებო, საჯაროდ ვაიხადებ, უმიზეზოდ არ გავაცდენ არც ერთ დღეს! გვეყო ამდენი თვითნებობა! — მოკლე, ნათელი და დამაჯერებელი იყო მისი გამოსვლა!

ისევ ამოძრავდა დარბაზი, ისევ წამოიჭმართა თავმჯდომარე და... ტრიბუნიდან უკვე ახალი ორატორი აფრქვევდა ცეცხლს. მან მთელ კოლექტივს აღუთქვა, რომ ყველა კრებას დაესწრობოდა!

შემდეგ გამოსულმა ამხანაგმა კი ივალდებულა, ამიერიდან კრებაზე აღარ დაიძინებდა. ამით გადააჭრა კიდევ წვეპლა მის წინ გამოსულ კოლეგას!

დარბაზი არ ცხრებოდა, ორატორს ორატორი ცვლიდა!.. ზოგი რა პირობას დებდა, ზოგი — რას. ზოგი, საერთოდ, სამსახურში დაძინებაზე ამბობდა უარს, ზოგი — ჭადრაკის თამაშზე. ერთმა დომინოს ქვები წინ დაუყარა თავმჯდომარეს!

მოკლედ, ვინ რა ივალდებულა და ვინ — რა...

დიდხანს ერთმანეთს არ აცლიდნენ სიტყვას კამათში გამოსული ამხანაგები!






ნოვადი ბართაია



საქართველოს
ხალხთა
წიგნების ბიბლიოთეკა

გაბაშვილი ჯიშო

სტამბა





პიკანტური

ქართული ხალხური იუმორი

ოჯახის პატრონი — ბიძაშვილს:

— ხაშლამი მოხარშვა იცი?

— მა რალა ვიცი?!

— მაშინ შენა ჭ ხაშლამა მოხარშე, მე კიდენა სხვა საქმეებზე მივხედამ.

ოჯახის პატრონი აიღებს ხაშლამის ნაჭერს, ასწევს მაღლა და აგდებს, ხორცი ფაფასავით ეცემა თევზზე.

— გაგიფუჭებია, შე შობელძალო!

— ??

— ხაშლამას თევზზე რო დააგდებ, ბოთე, ერთი უნდა შახტეს და შაცხცხადეს!

— გაიგე, კაცო?! ალექსანდროვიჩს შაქრის ავადმყოფობა ჰქონია!

— კარგია! სულ მუჟავე ხასიათზე რომ იყო, იქნება, ახლა მაინც დატკბეს!

— ბატონო ილიკო, მიირთვით საცივი!

— გმადლობთ, ჩაქაფული მიჩვენია, საცივი მეორე დღესაა გემრიელი.

— ჰოდა, თქვენი ხასიათი რომ ვიცით, ჩვენც გუშინ გავაკეთეთ!

თვალშია პირველი კოლმეურნეობის თავ-მჯდომარეს ეფრემ გუშარაშვილს ჰკითხეს რაილ-მასკომში:

— ფუტკარი რამდენი გყავთ?

— რაფი, ბლომად კი შადი-გადიან ი სკებშია და დათვლით ჯერ არ დამითვლია! — უპასუხა ეფრემმა.

გაშლილ სუფრას ახალ კერძებს უმატებს დიასახლისი და თან ბოდიშებს იხდის:

— წინილები პატარებია და, რომ დაგვეკლა, არ გაიპუტებოდაო.

— ზოგი „სემიჩკასაც“ კი ფცვენის! — თავისთვის, მაგრამ ყველას გასაგონად ამბობს ჟორია.

ჟორია მაგიდაზე ასულა და თითისწვერებზე შემდგარი გადამწვარ ნათურას ხსნის.

— გაზეთი მაინც დაგეფინა მაგიდაზე! — უწყრება ცოლი.

— ქალო, გაზეთი რა მაგდენ სიმაღლეს მომიმატებდა?! — ბურტყუნებს ჟორია.

ჟორიას გეოგრაფიის მასწავლებელმა შესჩივლა:

— თქვენს შვილს ვკითხე, ენისეი სად არის-მეთქი და — მამამისმა აქვს შენახულიო.

— უყურე, უყურე მაგ ჩერჩეტს! ყველაფერი უნდა გათქვას, რაც ოჯახშია?!

— ბრალდებულო, თქვენი საბოლოო სიტყვა!

— სამი ათასს კაპიკს ვერ დავუმატებ!

— დიომიდე დაგინინაურებიათ, ბატონო ხარლამპი?

— მოლარე იყო და საწყობში გაეფუჭა. რაა ამაში ცუდი?

— არაფერი, ბატონო, ჩემი ძროხა ერთ ადგილზე რომ მოჭამს ბალახს, მეორეზე გადაწყავს და ქეა კიტრივით!

შეკრიბეს ო. კალანდაძე, მ. ზაზაძე, მ. ჩაფიძე, რ. ოსაფიშვილი



სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“ №17
(1651) სექტემბერი, გამოდის 1923 წ. ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი
ზაურ ბოლქვაძე

სარედაქციო კოლეგია:

ჭაბუკა ამირეჯიბი, ნოზადი ბართაია, ბორის გურგუ-ლია, ნოდარ დუმბაძე, რე-ვაზ თვარაძე, ჭეშალ ლო-ლუა, ნოდარ მაღაზონია (მხატვარი - რედაქტორი), ალექსანდრე სამხონია, ბე-ჟან სიხარულიძე (მთავარი რედაქტორის მოადგილე) ჯანსუღ ჩარკვიანი, თამაზ წიგწიაძე, ნაფი ჭუსოიტი.

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ კუშალაშვილი


გადაეცა ასაწყობად 23. 07. 83 წ. ხელმოწერილია და-საბეჭდად 30. 09. 83 წ. ჯა-ლაღლის ზომა 60X90^{1/2} ფიზიკური ნაბეჭდი ფურცე-ლი, 1,25, სააღრიცხვო-საგა-მომცემლო თაბახი 1,7, სა-ქართულოს კ კვ-ის გა-მომცემლობა, ლენინის, 14 შეკვეთა № 2012. უფ 07276. ტირაჟი 138.300. ჟურნალი: გამოდის თვეში ორჯერ. რედაქციაში შემოსული მა-სალები ავტორებს არ უბ-რუნდებათ.

ჩვენი მისამართი: 880008, თბილისი-8 რუსთაველის პროსპექტი № 42.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-55-54, მთ. რედ. მოადგილის — 93-19-42, პ/მგ მლივნის — 93-10-78, მხატვარი-რედაქტორის — 99-02-38, გან-ყოფილებათა გამგეების — 93-49-32, რედაქტორ-ლიტ-მუშაკების — 99-02-38, მლივნის - მემანქანის — 99-76-69.

Сатирико - юмористиче-ский журнал «НИАНГИ» (На грузинском языке) Тбилиси, пр. Руставели № 42. Издательство ЦК КП Грузии, Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, улица Ленина № 14.

ფასი 20 კაპიკი
ინდექსი 76137



ხ. ბ. ხაინაშვილი

მათარიალურ-ტექნიკური პროგრესის კრიზისში კრიზისმა შეადგინა „თავისუფალი სამყაროს“ იდეოლოგიურ ნაკრძალში, ძალა დაუკარგა ყველა დასს თუ ფრაქციას, გააუფასურა პანამერიკული აქცია და თეთრ სახლსაც საბოლოოდ ზურგი შეაქცია.

მაშინვე შეწყდა პოლიტიკურ ფიგურათა გაცვლა — პასიანსი და სპირიტუალის შედგა სეანსი. აცალეს, ვიდრე მზე ცის თაღს მოივლიდა, და ბნელში დაიწყეს სულების გამოხმობა ისტორიის სანაგვეზე გადაგდებული ძველი სკივრიდან.

და აი კრიზისით დარბულ პოლიტიკურ სარბიელზე ჩნდება მალთუსი — დგება ბარიერზე, ბზის ტოტის მაგიერ უჭირავს კაქტუსი, ახურავს თავზე მკითხავის ქუდი — კარტუზი...

ბოდავს, ჭარბმოსახლეობით სენშეყრილია დედამიწაო, სხვა რა უშველის, თუ ატომით ერთხელ მაინც არ გადაირწყაო. ამას აცხადებს ავი მოციქული და თავს იწონებს აზრით მოწიფულით, უკვირს — ასე კარგად ვის მოაფიქრდა, ვინ იყო, ვინაო, რომ ყველა კონტინენტს ცივიზაციის „კომპრესები“ მოაფინაო, ან ვინ შექმნა ჭირის, ქოლერის, ტროპიკული ცხელების მიკრობთა შტამებიო, ვინ იზამდა ამას, თუ არა გენიოს მეცნიერთა შტამებიო.

კიდევ მეტეოროლოგიური ომის ცივ-გრილი საფენების (სეტყვის, წყალდიდობის) ამერიკული ნიმუშები ეცნო მკითხავს და აღტაცებულმა იკითხა: ბოლო-ბოლო, ვინ არის ყოველივე ამის ავტორი, ჩემი თეორიის პრაქტიკაში დანერგვის ნოვატორიო, ვინ მიხვდა, რომ ხალხის გამრავლება გეომეტრიული პროგრესით, როცა დოვლათი იქმნება არითმეტიკული პროგრესით, უნდა შეფერხდეს მხოლოდ აგრესიითო.

ვინ არის ღირსებით კოზირის ტუზიო, ვის ვუძღვნა აგრესიის სიმბოლო — მჩხვლეტავი კაქტუსიო.


ჯილდოს მაძიებელთა იწყეს მოძალება, ვიღას გააჩნდა თავმდაბლობა ანთუ მოკრძალება.



უწინ თვითრეკლამით წინ მოდგა ტრუმენი, მას მოყვნიენ მაკარტი, ეიზენჰაუერი, მოდიან ნიქსონი, ფორდი და კარტერი ომის ვულკანების მხრეოლავი კრატერით, მოაქვთ უამრავი „ბომბდამშენი“ „ბ-1“ (ეშმაკის ხატით შევცვლილია ღმერთი), მოაქვთ, ვით მუქარა რაკეტა „სტელსი“, ლამის მშრომელები გაწყვიტონ წელში, ცას

ხევენ წვეროებით „მხ“, „პერშინგ-2“, როგორც ძირითადი, ისე დუბლიორი, ფრთოსანი რაკეტების იძვრის წყებათწყება, რომელი მშვიდობა! ომი გეგონება, წყალს ამღვრევს წყალქვეშა ნავი „ტრაიდენტი“, სხვათა შესაქმნელად კიდევ არის დენთი, ამის გარანტიას ჩემულობს პრეზიდენტი...

პრეზიდენტიო?!



და უცბათ მალთუსი იხსენებს რეიგანს სულ სხვა სტატუსით: ქილიკობს „სომ არ არისო, მისტერ, მაქ სხვა რამ, არ იცრუოსო ცირკის მასხარამ — ცრუდ იფაფუროს, ხმა დაარხიოსო, არ ეპატიება თუნდაც მსახიობსო“.

მაშინ წამოდგა თვითონ დონალდი და წარუდგინა ომის მოძღვარს საბუთი ნაღდი:

„კოსმოსში ომის გეგმების ავტორი — დაძაბულობის შეუ-ნოვატორი“, — ეწერა ქაღალდზე ეს სიტყვა ორად-ორი.

ასე, ბეჭდის დასმით, ამტკიცებდა სენატი, თუ ვის დაერტყა თერმობირთვულ ომში პენალტი.

კეთილი ატლანტები, ცის თაღს რომ იჭერენ, ჩაუხვდნენ მალთუსის სიტყვების სიჭრელეს; მშვიდობის კანონის ურყევი სტატუსით წაართვეს ხელიდან მჩხვლეტავი კაქტუსი. განაძეს „მოძღვარი“ პანდურით, ქილიკით, უჩვენეს რეიგანსაც სკივრისკენ ბილიკი.

ელგუჯა მერაბიშვილი

ილუსტრაციები **მ. მორჩაძისა**

